რუსულენოვანი უმცირესობების საკითხი ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის ჭრილში

ქეთევან ცირეკიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გია ნოდია

ილიასსახელმწიფოუნივერსიტეტი

თბილისი, 2014

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ცირეკიძე

ხელმოწერა:

თარიღი: 18. 06. 2014

აბსტრაქტი

ლიტვა, ლატვია და ესტონეთი- ბალტიისპირეთის სახელმწიფოები, იყვნენ პირველი სამეული რომელთაც ნაბიჯი გადადგეს დამოუკიდებლობისკენ საბჭოთა კავშირის ნგრევის პერიოდიდან 90-იან წლებში, რასაც ასევე მათი კულტურის, ენისა და ტრადიციების მიმართ ხელახალი ინტერესის გაჩენა მოჰყვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი იყო მათი ენების,როგორც პოლიტიკისა თუ ეკონომიკის ენების აღორძინება. აქედან გამომდინარე,მოსახლეობაში იგრძნობოდა გარკვეული პროტესტი ყველაფერ იმის მიმართ, რაც მათ საბჭოთა წარსულიდან ერგოთ, იყო ეს პროტესტი რუსეთის მთავრობისა თუ ამასთანავე რუსულენოვანი უმცირებობების მიმართ.

რუსეთის დიდი ძალისხმევის მიუხედავად, დღეს ბალტიისპირეთი ცდილობს აღარ მოექცეს მისი ზეგავლენის ქვეშ და წინ სწრაფად მიიწევს, რაც მნიშვნელოვნად აისახება მზარდ ეკონომიკაზე, ეს კი თავის მხრივ განპირობებულია წარმატებული სავაჭრო ურთიერთობებით და გონივრული დიპლომატიური სვლებით. ბალტიისპირეთი დღეს მოიაზრება, როგორც ერთ–ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი და წარმატებული რეგიონი მთელს ევროპაში.

ნაშრომში განიხილება რეგიონის, როგორც საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ დემოკრატიის გზაზე კვლავ მდგარი ქვეყნების, პოლიტიკური ურთიერთობები რუსეთთან , სადაც რუსულენოვანი უმცირესობების პრობლემატიკა დღემდე აქტუალურ სახეს ინარჩუნებს.

აქვე შედარებითი ანალიზისთვის პარალელი გაევლება სამხრეთ კავკასიის რეგიონთან რუსულენოვანი უმცირესობებისა და რუსეთთან დაძაბული პოლიტკური ურთიერთობების თვალსაზრისით.